

გრიგოლ ფერაძე ქართული საერო ლიტერატურის საკითხებზე

გრიგოლ ფერაძე საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და სასულიერო მწერლობის მკვლევარია, მაგრამ აქ გვინდა შევეხოთ მის რამდენიმე სტატიას, რომლებიც ქართული საერო ლიტერატურის საკითხებს ეხება და რომლებშიც ჩანს, რა კომპეტენტური იყო იგი ამ სფეროშიც და რამდენად მრავალმხრივი ადამიანი იყო საერთოდ.

რამდენიმე მოკლე წერილი შოთა რუსთაველს და მის პოემას ეძღვნება. ესენია: *როგორ უნდა აღვნიშნოთ ემიგრაციაში შოთა რუსთაველის იუბილე, შოთა რუსთაველის რელიგია და ვინ არის ჩვენთვის შოთა რუსთაველი?*

ბუნებრივია, ეს არც ტექსტოლოგიურ, არც ლიტერატურულ კვლევას არ წარმოადგენს, ესაა უფრო პუბლიცისტური სახის წერილები. იმ დროს, როცა რუსთაველის იუბილისთვის ემზადებოდნენ, გრ. ფერაძე გრძნობდა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ქართული ემიგრაციისათვის ეს მოვლენა. თვითონ კი უფრო ის აინტერესებდა, რომ თანამემამულეები გაემხნევენინა, ამ უკვდავი პოემის ძალა ეგრძნობინებინა. მისი თქმით,

“დიდი აყვავებისა და ძლიერების პერიოდში შექმნილი ნაწარმოები ყოველთვის გამოკვეთს კეთილშობილი, ამალღებული ადამიანის ტიპს, რომელიც ისწრაფვის მხოლოდ უმაღლესი სრულყოფილებისაკენ... ასეთი იდეალი ერისთვის მაგალითად რჩება ტკივილის, განცდის, უიღბლობის დროს, რათა გასაჭირმა არ გატეხოს ერის სიამაყე, მისი სწრაფვა სრულყოფილებისაკენ, მისი სიყვარული სინათლის, მზისა და სიმართლის მიმართ.”

გრ. ფერაძე, ბუნებრივია, ამ ნაწარმოებსაც თავისთვის საინტერესო კუთხიდან უყურებს. სტატიაში *შოთა რუსთაველის რელიგია* გრ. ფერაძე ახერხებს სადად, მაგრამ არა ზედაპირულად იმსჯელოს ამ რთულ საკითხზე.

“შოთა რუსთაველი ქრისტიანობის დიდ გავლენას განიცდის. მან მშვენივრად იცის ძველი და ახალი აღთქმის წმინდა წერილები... კარგად იცნობს ქრისტიან ფილოსოფოსებს – მისტიკოსებს, წარმართ ფილოსოფოსებს – ნეოპლატონიკოსებს, იცის სუფიზმი და მაჰმადიანობა, ზოროარტიზმი და ძველი ქართული წარმართული რელიგია”.

გრ. ფერაძე რუსთაველის ერთ აფორიზმს იღებს ნიმუშად (“რასაცა გასცემ შენია, რაც არ – დაკარგულია”) და ამის შესატყვისს ნახულობს წმინდა წერილში (“რამეთუ რომელსა უნდეს სულისა თვისისა განრინებაი, წარიწყმიდოს იგი და რომელმან წარიწყმიდოს, მან აცხოვნოს იგი” (ლუკა 17.33), კლიმენტი ალექსანდრიელთან (ის კი არ არის მდიდარი, ვინც რაიმეს ფლობს, არამედ ის, ვინც გასცემს...), გოეთეს “ფაუსტში”, აქსელ მუნტეს “წმინდა მიქაელის

წიგნში” და სხვა. მისი აზრით რუსთაველი ზოგადსაკაცობრიო კულტურის მინიმუმ ხუთ ძირითად ფუნდამენტს აერთიანებს: ქრისტიანობას, მაჰმადიანობას, წარმართულ ფილოსოფიას, ქართულ წარმართობასა და ზოროასტრიზმს, ამ ყველაფერს კი გენიალური ნიჭის წყალობით ამუშავებს და გვთავაზობს ახალი ქართული რელიგიის კონცეფციას. ახალი ელემენტია აქტიურობა, ადამიანის ბრძოლა ღვთის დახმარებით უკეთესი ყოფისა და ბნელ ძალებზე გამარჯვებისათვის. გრ. ფერაძე თვითონაც აღნიშნავს, რომ მრავალი საკითხის ცოდნაა საჭირო სიახლის შესაფასებლად და ემიგრაციაში ამ საკითხების შესაწავლად საჭირო მასალის მოძიება ძნელი იყო.

მეორე საერო პოეტი, რომლითაც დაინტერესდა გრ. ფერაძე, არის ბესიკი. ინგლისში ოქსფორდში ბოდლეს წიგნთსაცავში მუშაობის დროს გრ. ფერაძეს ხელში ჩავარდნია ერთი მხედრულად ნაწერი კრებული, გადაწერილი ლუკა ისარლოვის მიერ 1835 წელს.

ლუკა ისარლოვი (1814-1893) ქართული კულტურის ისტორიაში უმეტესად ცნობილია როგორც მკაცრი ცენზორი, თუმცა წერდა ლექსებს და თავის დროისთვის საკმაოდ განათლებული ლიტერატორი იყო. სულ მალე მისი გარდაცვალების შემდეგ, 1894 წელს, მისი ლექსები ცალკე წიგნად გამოსცა ცნობილმა მწიგნობარმა და მკვლევარმა ზაქარია ჭიჭინაძემ. ამ გამოცემის მოსამზადებლად, როგორც გრ. ფერაძე ვარაუდობს, ლ. ისარლოვის ხელნაწერი კრებული მის მემკვიდრეებს გადაუციათ ზ. ჭიჭინაძისთვის, ამ უკანასკნელისაგან კი იგი უორდროპს შეუძენია.

ზემოხსენებული ხელნაწერი მოკლედ აღწერილია უორდროპის ქართულ წიგნთა კატალოგში ეკა ჩერქეზიშვილის მიერ. ხელნაწერი შეიცავს 138 გვერდს. დასაწყისში წარმოდგენილია ორ სვეტად ნაწერი ქართული ლექსიკონი. შემდეგ კი ლექსები, რომელთა უმეტესობას ავტორის ვინაობის მითითება არ ახლავს. მოჰყავს რა ეს ცნობები, გრ. ფერაძე აღნიშნავს:

„ამ ლექსებში სამმა ლექსმა მიიზიდა ჩემი ყურადღება, რომელთაგან ორი ეკუთვნის ბესიკს (ერთი უკვე ცნობილია). თვით მესამე, ჩემის აზრით, უნდა ბესიკს მივაკუთვნოთ. ენა ამ ლექსის არის ბესიკის და თუმცა ამ ლექსის მოთავსება ბესიკის ლექსთა შორის მაინც და მაინც იმის დამამტკიცებელი არაა, რომ ეს ლექსიც უნდა აუცილებლად ბესიკს მიეკუთვნოს, მაგრამ თვით ეს მოვლენაც აღსანიშნავია“.

ბესარიონ გაბაშვილი, ბესიკი, (1750-1791), ქართული ლიტერატურის ისტორიაში კარგადაა ცნობილი როგორც ავტორი ლირიკული და სახოტბო ლექსებისა, ისტორიული პოემისა, მწვავე ეპიგრამებისა. ბესიკის ლექსები მრავალი ხელნაწერი კრებულის სახით არის მოღწეული ჩვენამდე, მაგრამ ამ კრებულებში ხშირად მოთავსებულია მიმზამველთა

ლექსებიც, რაც ართულებს მათ გამოიჯვანას ერთიმეორისაგან. გასათვალისწინებელია ისიც, თუ რა მიმდევრობაში უხდებოდა მუშაობა ახალგაზრდა გრ. ფერადეს ოქსფორდში, სადაც მას ხელი არ მიუწვდებოდა არც ბესიკის ავტოგრაფებზე და არც მაშინდელ უახლეს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაზე. ამით აიხსნება მისი მორიდებული ტონი ამა თუ იმ ლექსის ავტორად ბესიკის მიჩნევის თაობაზე. მოჰყავს რა ეს ცნობები, გრ. ფერადე აღნიშნავს:

„ამ ლექსებში სამმა ლექსმა მიიზიდა ჩემი ყურადღება, რომელთაგან ორი ეკუთვნის ბესიკს (ერთი უკვე ცნობილია). თვით მესამე, ჩემის აზრით, უნდა ბესიკს მივაკუთვნოთ. ენა ამ ლექსის არის ბესიკის და თუმცა ამ ლექსის მოთავსება ბესიკის ლექსთა შორის მაინც და მაინც იმის დამამტკიცებელი არაა, რომ ეს ლექსიც უნდა აუცილებლივ ბესიკს მიეკუთვნოს, მაგრამ თვით ეს მოვლენაც აღსანიშნავია“.

ამ სამი ლექსიდან მას განსაკუთრებით მოსწონს და სპეციალისტთა ყურადღებას მიაქცევს მესამე ლექსს, რომელსაც ავტორის ვინაობა არ აწერია. იგი მართლაც გამოირჩევა როგორც მოცულობით, ისე მხატვრული ფორმით და პოეტური ოსტატობით. მკვლევარს მოჰყავს ეს ლექსი სრული სახით და შემდეგ იძლევა თავისი მოსაზრების დასაბუთებას:

„ეს ლექსი შეუძლებელია იყოს თვით ისარლოვის, რომელიც ცოტად თუ ბევრად ნიჭიერ ლექსებს წერდა. ის ამ ლექსს თავის ლექსთა კრებულში შეიტანდა, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ გამოვიდა ცალკე წიგნად. მთელი ამ ლექსის კომპოზიცია, ენა, შინაარსი არც ერთ ისარლოვის ლექსს არ უდგება. თუმცა მე ქართული საერო ლიტერატურის დარგში არ ვმუშაობ და ამის გამო ჩემს აზრს ისეთი მნიშვნელობა არ ექნება, როგორც ამ დარგში მომუშავე სპეციალისტისას, მაგრამ, ჩემის აზრით, ეს ლექსი უნდა ეკუთვნოდეს ბესიკს“.

ჩვენ არ ვიცით, გრ. ფერადის ეს მოსაზრება როდის გახდა ცნობილი ქართული ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტებისათვის, მაგრამ ფაქტია, რომ სამი ათეული წლის განმავლობაში მას არავინ გამოხმაურებია და მისი დასაბუთება ან უარყოფა არავის უცდია. მხოლოდ 1962 წელს, როცა მეორედ გამოიცა ბესიკის თხზულებათა სრული კრებული ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურას რედაქციით, სარედაქციო წერილში ნახსენებია გრ. ფერადის წერილი *ჯვარი ვაზისას* ფურცლებზე და იქიდან მოყვანილია სრული ტექსტი ორი ლექსისა, რომელთა ავტორადაც გრ. ფერადეს ბესიკი მიაჩნია.

პირველ ლექსზე ნათქვამია, რომ ბოლო ორი ტაეპი ხალხურია, ლექსიც უვარგისია და ყოვლად შეუძლებელია იგი ბესიკს ეკუთვნოდეს. შემდეგ სარედაქციო წერილში სრულად არის მოყვანილი მეორე ლექსის ტექსტიც. ფერადისეული პუბლიკაციისაგან განსხვავებით, ტექსტი დაყოფილია სტროფებად, დასმული აქვს სასვენი ნიშნები და რაც მთავარია, ლექსის პირველი ნაწილი გადატანილია ბოლოში, წინ კი მოქცეულია მეორე ნაწილი, თანაც ამ ცვლილების თაობაზე სარედაქციო წერილში არაფერია ნათქვამი (სინამდვილეში ლექსის

სტრუქტურა სავსებით სწორად არის წარმოდგენილი გრ. ფერადის პუბლიკაციაში და ის ამ მხრივ არავითარ შესწორებას არ საჭიროებს). რედაქციის აზრი ამ ლექსზე უარყოფითია:

„რედაქციის მოსაზრებით, ძლიერ საეჭვოა, რომ ბესიკი იყოს საცილობელი ლექსის ავტორი. ლექსი საერთოდ სუსტია. შინაარსობრივად მას ახასიათებს ბესიკისათვის შეუფერებელი სარწმუნოებრივი განწყობილების ტენდენცია (ვის გსურს სოფლით იქმნა არა დაგული, საღმრთოს სიბრძნეს მიეც გონი და გული), არც არავითარი ფორმალური მინიშნება მოეპოვება ბესიკის ავტორობის სასარგებლოდ“.

აქ ლექსს არ მოვიყვანთ. იგი ათსტროფიანია. თითოეული სტროფი ოთხ-ოთხი თერთმეტ-მარცვლიანი ტაეპისაგან შედგება, იგი სტრუქტურულად საკმაოდ რთული აგებულებისაა და ავტორის მაღალ პოეტურ კულტურაზე მეტყველებს. ოსტატურადაა შერჩეული მაჯამური რითმებიც, რომლებიც ყველა სტროფშია განფენილი და რომელთა მნიშვნელობაც მეტწილად ადვილი საცნობია. ამიტომ აქ მათ შესახებ ვრცელი მსჯელობა საჭიროდ არ მიგვაჩნია. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ ნაწარმოებს ამ მხრივაც ბევრი რამ აქვს საერთო ბესიკის ცნობილ ლექსებთან.

ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას, თითქოს ამ ლექსს არავითარი ფორმალური ნიშანი არ მოეპოვებოდეს ბესიკის ავტორობის დასამტკიცებლად. პირიქით, მსგავსი სტრუქტურის ლექსები სწორედ ბესიკის პოეზიაში გვხვდება და სხვასთან არავისთან. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ: *რა გული დავაგე შენად სარებლად, შავ გლახ გულო, ხმა სირინოზს*. მსგავსი სტრუქტურა გვხვდება ბესიკის თოთხმეტმარცვლიანი ტაეპებით განწყობილ ლექსებშიც, რომლებსაც ცეზურა სამ ნაწილად ყოფს. ასეთებია სახელდობრ: *ბულბული მიდის მწუხარებით, ცრემლის დენითა და ბულბულის შურსა შევდგომივარ მუდამ მძახველი*. ამ ლექსების შედარება გრ. ფერადის მიერ ბესიკისად მიჩნეული ლექსთან აშკარად მოწმობს, რომ გრ. ფერადე არ ცდებოდა. ლექსი სტრუქტურული ნიშნების მიხედვით ძალიან ახლოს დგას ბესიკის ცნობილ ლექსებთან. მსგავსება შეინიშნება ლექსიკური და გრამატიკული ნიშნების მხრივაც. საამისოდ საკმარისია თვალი გადავავლოთ ზემოთ მოყვანილი ლექსის ნიშანდობლივ ლექსიკურ ერთეულებს და მოვძებნოთ მათი იდენტური ან ანალოგიური ფორმები ბესიკის საყოველთაოდ ცნობილ ლექსებში: ბნელ-ჰყო (იავარ-ჰყო, დამტკიცებულ-ჰყოს, ელვარე-ჰყოფს), არ ეგების (არ შეიძლება, არ ხერხდება), ეტლი (ბედის ვარსკვლავი, ბედი), დამი (ორთქლი, ბული), ვანი (ბინა, სადგური), სერი (ვახშამი, აქედან; ისერა _ ივახშმა), მრწემი (უმცროსი), განერო სოფლით (განერიდო, გაშორდე ქვეყანას, წუთისოფელს), საწუთრო (წუთისოფელი) და ა.შ.

ვერ დავეთანხმებით საანალიზო ლექსის შეფასებას, თითქოს ის იმდენად სუსტია, რომ ბესიკის რანგის შემოქმედს არ შეეფერება. არც ის მოსაზრება მიგვაჩნია მართებულად, თითქოს აღნიშნულ ნაწარმოებში „ბესიკისათვის შეუფერებელი სარწმუნოებრივი განწყობილების ტენდენცია“ იგრძნობოდეს. ერთი სიტყვით, ბესიკის ავტორობის უარსაყოფად წარმოდგენილი არგუმენტები, ჩვენი აზრით, სუსტია და სარწმუნო არ არის. ამავე დროს, თუ ბესიკის ავტორობას უარყოფთ, დაისმის საკითხი: სხვა ვინ შეიძლება იყოს საცილობელი ლექსის ავტორი?

გრ. ფერაძის დამაჯერებელი მტკიცებით, ლუკა ისარლოვის ავტორობა გამორიცხულია. წინააღმდეგ შემთხვევაში ლექსი უთუოდ შეტანილი იქნებოდა მის პოეტურ კრებულში, რომელიც ზ. ჭიჭინაძემ გამოსცა 1894 წ. თან ლექსს არც ფორმით და არც მხატვრული აქსესუარებით საერთო არაფერი აქვს ისარლოვის შემოქმედებასთან. იმ ეპოქის ქართველ შემოქმედთა შორის, რომელსაც ვარაუდით ეს ლექსი მიეკუთვნება, ჩვენც არავინ გვეგულება ისეთი, ვინც ამა თუ იმ ნიშნით შეიძლებოდა ბესიკზე წინ დაგვეყენებინა და საცილობელი ლექსის ავტორად მიგვეჩნია. ამიტომ სავსებით ვეთანხმებით გრ. ფერაძის მოსაზრებას, როდესაც იგი ამ ნაწარმოებს ბესიკის კალამს მიაკუთვნებს. ამრიგად, იგი ბესიკის ამ უცნობი ლექსის აღმომჩენად უნდა ჩაითვალოს.

ბოლოს გრ. ფერაძის საკმაოდ ვრცელი სტატია: *სულიერი ცხოვრება დღევანდელ საბჭოთა საქართველოში მხატვრული ლიტერატურის სარკეში*.

გრიგოლ ფერაძეს 1992 წლის სექტემბერში ბონის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მუშაობისას შესაძლებლობა მისცემია გასცნობოდა ჟურნალ *მნათობის* 1926-1931 წლების ნომრებს. იგი თავად აღნიშნავს:

სურათი, რა თქმა უნდა, სრული ვერ იქნება, რადგან ბევრი რამ აკლია, მაგრამ მაინც ძალიან საინტერესოა, თუნდაც ამ მცირედის საფუძველზე დავინახოთ საბჭოთა საქართველოს ახლანდელი სულიერი სურათი.

ჟურნალის გაცნობისას მას ამ მასალის მეცნიერულ-კრიტიკულ ანალიზზე იმთავითვე არ უფიქრია, მაგრამ თავისთვის ზოგი რამ მაინც ჩაუნიშნავს; რამდენიმე წლის შემდეგ, კი მოულოდნელად გასჩენია თავისუფალი დრო და მიბრუნებია ადრევე გაკეთებულ შენიშვნებს, რომელთა გაშლა-გაფართოების შედეგად მკითხველმა მიიღო საკმაოდ ვრცელი და საინტერესო მიმოხილვა.

ამ წერილის პუბლიკაციამ გერმანული ჟურნალის ფურცლებზე უხმაუროდ ჩაიარა, – მას არც გერმანიის და არც საქართველოს მხრიდან გამოხმაურება არ მოჰყოლია. ჩვენი აზრით, წერილი უაღრესად საინტერესოა და ღირსია საგანგებო ყურადღებისა.

აქ გვინდა აღნიშნოთ, რომ ქართული ჟურნალებიდან ყველაზე სრულად *მნათობი* ასახავდა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს. ამ ჟურნალის მნიშვნელობა კარგად ჩანს გრ. ფერაძის წერილიდანაც. ავტორი მთელ ქართულ მწერლობაზე მსჯელობს მხოლოდ *მნათობის* ფურცლებზე დაბეჭდილი ლიტერატურული პროდუქციის მიხედვით, მაგრამ მაინც ახერხებს დაგვიხატოს იმდროინდელი ქართული მწერლობის სურათი და დაახასიათოს სხვადასხვა თაობისა და სხვადასხვა მრწამსის მწერალთა ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი. წერილში მოცემულია არაერთი მწერლის შემოქმედების ან ცალკეულ ნაწარმოებთა მკაფიო ანალიზი, გამოთქმულია მეტად საგულისხმო შენიშვნები ცალკეულ ნაწარმოებზე და მწერლებზე, ლიტერატურულ და სოციალურ პრობლემებზე.

ფერაძისათვის საინტერესოა, თუ რას მოითხოვს ოფიციალური ბოლშევიკური კრიტიკა პოეტებისა და მწერლებისაგან და როგორ ასრულებენ ისინი ამ მოთხოვნასო და ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად პორველ რიგში მიმართავს იმდროინდელი ქართული კრიტიკის თვალსაჩინო წარმომადგენლებს – მიხეილ კახიანისა და ბენიტო ბუაჩიძის წერილებს:

“ისინი პოეტებისაგან მოითხოვენ, რომ ჩადგენ მსოფლიო რევოლუციის სამსახურში და შრომასა და შემოქმედებაში მიჰყვნიან კომუნისტური პარტიის მითითებებს. მათ უნდა ასახონ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია და უმღერონ ამას. მათ უნდა მოუწოდონ “ყველა პროლეტარს” “მსოფლიო კაპიტალიზმის” წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, რომლებიც “თავისუფლებისათვის” ბრძოლაში დაიღუპნენ“.

გასული საუკუნის 20-30-იანი წლების ლიტერატურული პროცესების მკვლევართათვის კარგად არის ცნობილი, რომ იმ ხანებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგები მწერლებს ყოფდნენ ორ ძირითად ჯგუფად: “მგზავრებად” და თანამგზავრებად”. პირველნი, როგორც გრ. ფერაძე ამბობს, “ამაყად და თავდაჯერებით მოაბიჯებენ ბოლშევიკური რევოლუციის გზაზე,” მეორენი კი “მართალია, საბჭოთა ხელისუფლების მტრები არ არიან, მაგრამ ჯერ ვერ განთავისუფლებულან “ბურჟუაზიული შეხედულებებისაგან”. აქ მკვლევარი მხოლოდ იმეორებს საბჭოთა პრესაში და *მნათობის* ფურცლებზე გაბატონებულ აზრს, კომენტარისაგან კი თავს იკავებს, მაგრამ სტრიქონებს შორის აშკარად ჩანს ფარული ირონია. უფრო გამოკვეთილია ავტორის დამოკიდებულება მწერალთა მესამე ჯგუფის საბჭოური კრიტიკოსების მიმართ, რომელთა აზრითაც ამ

კატეგორიის მწერლები თითქოს “უკვე დაიღალნენ და დროს ვეღარ ესადაგებიან”. რომანტიკოს გრიშაშვილის ლექსები მიჩნეულია “ეროტიკულ-პორნოგრაფიულად”, მაყაშვილის – ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ლირიკოსისა და მართლაც კულტურული პიროვნების ლექსები – “მსუბუქი ჟანრის პოეზიად”. ოფიციალური კიდეც უფრო მკაცრ შეფასებას იმსახურებს ცნობილი პოეტი ალექსანდრე აბაშელი, რომელიც თავის ლექსში “წერილი ნოე ჩხიკვაძეს” საქართველოს იმდროინდელ ვითარებას ასე ახასიათებს:

მაგრამ დღეს სხვაა ჩვენი ჰაერი,
დაეცა ლოცვა და პოეზია,
მოკვდა ბრწყინვალე ძველი შაირი
და ახალს ჩრდილი შემოესია.
გაგიკვირდება, ლექსს რად არ ჰშველის,
რომ კვლავ ამადღეს რჩეულ ხარისხად,-
ციდან ქუხილი ბარათაშვილის,
მთიდან ყვირილი ვაჟას ხარისა?
ახლა ქუხილი არ ისტამბუბა,
ხარი არ ჰყვირის მაღალ მთებიდან,
ლექსი დაახრჩო წერილმა ამბებმა,
ამონაწერმა გაზეთებიდან.

საქართველოს კომუნისტური პარტიის იდეოლოგიურ ლიდერთაგანი, კრიტიკოსი მიხეილ კახიანი, ალ. აბაშელის ზემოთმოყვანილ სტრიქონებს ასეთ კომენტარს უკეთებს,

“როგორც ჩანს, ავტორი უკმაყოფილოა, რომ ჩვენ ამჟამად არ ვბეჭდავთ ყოველგვარ ანტისაბჭოთა აბდაუბდას და აბაშელის ლექსების ნაცვლად ვაფასებთ სხვა მასალას, რომელიც გაცილებით უკეთ ასახავს საბჭოთა ყოფა-ცხოვრებას. უნდა ითქვას, რომ ეს აბაშელი უკანასკნელ დრომდე მუშაობდა სახელგამში, იმყოფებოდა საბჭოთა ჯამაგირზე”.

განიხილავს რა მ. კახიანის ამ წერილს, გრ. ფერაძე შენიშნავს, რომ საბჭოთა კრიტიკა პოეტებზე ზეგავლენის მოსახდენად და მათ დასამორჩილებლად ცილისწამებასაც არ ერიდება; სახელდობრ, ხსენებულ წერილში მეორე პოეტზე რაჟდენ კალაძეზე ნათქვამია, რომ ის ტროცკისტია; „ამავე დროს კარგად ცნობილია, რომ ეს იარლიყი მას შეიძლება სიცოცხლის ფასად დაუჯდეს”, – აღნიშნავს იგი. რაჟდენ კალაძეს მართლაც მალე აუხდა გრ. ფერაძის წინასწარმეტყველება. 1938 წელს, როცა ეს წერილი დაიბეჭდა გერმანულ ჟურნალში, რაჟდენ კალაძე უკვე დახვრეტილი იყო საბჭოთა უშიშროების მიერ.

გრ. ფერაძე იმ ფაქტზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ ქართველი პოეტები ქედს არ უხრიან ბატონებს, რომლებსაც წარმოდგენაც არა აქვთ ჭეშმარიტ პოეზიაზე და გარკვევით აღნიშნავენ თავიანთ სიმართლეს ძალაუფლებით მოსილთა წინაშე. ამის ნიმუშად დასახელებულია კ. გამსახურდიას წერილი .

აქვეა სხვა მაგალითები, როცა ქართველი მწერლები უარს ამბობენ შეასრულონ კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური შეკვეთა. ასეთად წარმოგვიდგება, მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილი თავის რომანში *შავი კლდე*. საინტერესოა შემდეგი მაგალითებიც:

“სხვა მხრივ, ძალიან კომუნისტურად განწყობილი პოეტი კონსტანტინე ლორთქიფანიძე წინააღმდეგია იმისა, რომ “როგორც სხვებმა ბიბლიის ენით გალექსოს ცაკის დადგენილება ან კომპარტიის დირექტივების დაიწყოს უშნოდ გადამდერება“, როგორც ამას მისგან მოითხოვენ”.

ამგვარი მაგალითების საფუძველზე მკვლევარი დაასკვნის:

“ქართველი პოეტები მეტად თავმოყვარენი არიან და ძალიან ძველი კულტურის მემკვიდრენი, რომ მხოლოდ “აგიტკა-ლიტერატურამდე” არ დაეშვან და დემიან ბედნისთან ან მაიაკოვსკთან ერთ საფეხურზე არ დადგნენ. ქართველ პოეტებს მუდამ თავის ხალხთან უნდათ ყოფნა და არავითარ შემთხვევაში, არ სურთ ისეთი ლიტერატურის შექმნა, რომელსაც მხოლოდ მცირე ხნით არსებობა უწერია”.

დიდი და თვითმყოფადი იდეა, აძლევს გრ. ფერაძის აზრით, ამ ადამიანებს გამძლეობის ძალას იქ, სადაც ისინი ბედმა დააყენა, ან, სადაც თვითონ ისურვეს დგომა:

„დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხილანი დგას ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს,
ჩვენ, პოეტები საქართველოსი!“

სამწუხაროდ, ეს იდეა რელიგიიდან არ იღებს სათავესო, - შენიშნავს გრ. ფერაძე და იქვე დასძენს:

“მათ ასეთი იდეა და ძალა უნდა მოეძებნონ, თორემ როგორ შეიძლება იარსებონ ასეთ დროსა და გარემოში, სადაც ლოცვა და პოეზია დაეცა და, სადაც “კულტურული” დაკმაყოფილება ბოლშევიკური საგაზეთო ცნობების პოეტური შეფასებით ხდება!”.

აქვე მოყვანილია რამდენიმე სტროფი მნათობის ფურცლებზე გამოქვეყნებული ალ. აბაშელის ლექსიდან, რომელსაც კრიტიკოსი უმაღლეს შეფასებას აძლევს:

“ეს არის აღსარება ადამიანისა, რომლის ბედიც მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის ბედთან. ის ხსნას ლოცვასა და პოეზიაში პოვეს. მან შეთხზა შესანიშნავი, გულის სიღრმიდან ამომავალი ჰიმნი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი, რომლის გალობაც უყოყმანოდ შეიძლება ჟამისწირვაზე”.

ასეთივე მაღალ შეფასებას აძლევს გრ. ფერაძე კოტე მაცაშვილის შემოქმედებას და უწოდებს მას ცოცხალ ქართველ პოეტთა შორის უდიდესს, დიდი კულტურის ადამიანს, წინასწარმეტყველს, რომელმაც თავისი ხალხის ტრაგიზმი გულის სიღრმემდე იგრძნო და განიცადა:

“მან ჩაიხედა თავისი ხალხის და მისი ისტორიის ყველაზე დიდ სიღრმეებში და ირწმუნა, რომ ამ რევოლუციური აღზნების შემდეგ დადგება კულტურული მოღვაწეობის პერიოდი, როცა ხალხის გონების ყველაზე ღირებული ნიმუშები, მისი ტრადიციები ისევე ძლიერად იმოქმედებს” .

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული პოეზიის ნიმუშები, რომელთაც წერილში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია, ადეკვატური სიზუსტით არის თარგმნილი თვითონ გრ. ფერაძის

მიერ. მათში მკვაფიოდ ჩანს მთარგმნელის ძლიერი პოეტური ნიჭი. როგორც სარეცენზიო წერილის სქოლიოში არის აღნიშნული, გრ. ფერაძეს უთარგმნია აგრეთვე ვასილ ბარნოვის პატარა, მაგრამ ძალზე დამახასიათებელი ნოველა – “გველის ზეიმი”. სამწუხაროდ, ამ ნოველის ფერადისეული თარგმანის კვალი ამჟამად აღარსად ჩანს.

ცოცხალ ქართველ ბელეტრისტთა შორის გრ. ფერაძე პირველ ადგილზე აყენებს მიხეილ ჯავახიშვილს და იგონებს მასთან პირად შეხვედრას 1920 წელს: “მაშინ მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ის ძალიან მატერიალისტურად იყო განწყობილი”.

გრ. ფერაძის დაკვირვებით, კომუნისტური მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდა პროზის მიმართ, რისი გამოხატულებაც იყო რომანებისა და მოთხრობების სიმრავლე აღნიშნულ პერიოდში. ამის შედეგად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ცენზურა 1932 წლამდე არც ისე მკაცრი იყო და ნებას რთავდა, ბევრი რამ დაეწერათ და გამოექვეყნებინათ, მაგრამ წერილის მომდევნო მონაკვეთში ნაჩვენები რეალური სურათი პირველი შთაბეჭდილების საწინააღმდეგოდ მეტყველებს:

“კომუნისტი ამ მწერალთა ნოველებში, რასაკვირველია, ყოველთვის ჭკვიანია, ბრძენი და სერიოზული. ის არ ფიქრობს საკუთარ თავზე. ამ დროს კი ეს ის ხალხია, რომლებიც ცდილობენ შეეწყვიტათ ოჯახური ცხოვრება, ცოლისაგან შეექმნათ პლატონური რესპუბლიკის ქალი, შვილებისაგან კი – უპატრონო ქუჩის ბავშვები... რაშია კომუნისტები სიხარულს პოულობენ და თავიანთი არსებობის მიზანს ხედავენ, ესაა ტექნიკა – ბოლშევიკური მეცნიერება და ტექნიკა! მეცნიერების ქვეშ მათ ესმით ტექნიკის თეორიები და ტექნიკა თვითონ არის პრაქტიკული ხორცშესხმა ამ თეორიებისა. ტექნიკამ, კომუნისტების გაგებით და მისწრაფებით, უნდა დაიკავოს რელიგიის ადგილი. აქედან უკვე ჩანს, რომ ადამიანებს რელიგია სჭირდებათ!”

ტექნიკის გაფეტიშებას შედეგად მოსდევს ის, რომ ადამიანები ტექნიკის მონები ხდებიან, ტექნიკა მათ რელიგიად იქცევა. ამასთან დაკავშირებით, გრ. ფერაძე აღნიშნავს ფაქტს, რომ ერთი კრიტიკოსი, პლატონ ქიქოძე, დანაშაულად უთვლის თანამოგვარე ავტორს, გერონტი ქიქოძეს, როცა ის VI საუკუნეში აშენებულ ჯვრის მონასტერს თავის მონუმენტალობით და კულტურით, უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე იქვე გვერდით ახლად აგებულ ელსადგურს (“ზაჰესს”). მეორე პოეტი ილო მოსაშვილი ამ ელექტრო სადგურს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარს ადარებს, ე.ი. ტაძარს, სადაც ქართული კულტურის აკვანი იდგა, სადაც ქრისტეს წმინდა კვართია დაკრძალული და, სადაც ანგელოსები საქართველოს მოქცევის ღამეს დედამიწაზე დაემუნენ. არ არის საჭირო ისტორიის ცოდნა და ამ ამბების დაჯერება, მაგრამ პოეტს ხომ უნდა ჰქონდეს რაღაცის წვდომის უნარი და რაიმე კავშირი ზენა სამყაროსთან” .

წერილის დასასრულს ავტორი სვამს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და საჭირობო კითხვას: “როგორ ეკიდებიან ბოლშევიკურ საქართველოში ისეთ დიდ კულტურულ ორგანიზაციას, როგორცაა ეკლესია”. რუსეთის რევოლუციის შედეგად ქართულმა ეკლესიამ დაიბრუნა დამოუკიდებლობა, მაგრამ, გრ. ფერაძის აზრით,

„ეკლესია სრულიად მოუზადებელი იყო კომუნისტურ საზოგადოებაში მუშაობისათვის. ამასთანავე, დამოუკიდებელი რომ გახდა, ეკლესიამ ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა, ხალხის მასებში ესროლა დიდი ლოზუნგი, აღფრთოვანებინა ისინი და მოეწოდებინა თანამშრომლობისათვის”.

გრ. ფერაძის აზრით, ეს ლოზუნგი უნდა ყოფილიყო: დაუბრუნდით ძველ ქართულ ეკლესიას! გრ. ფერაძე არ ერიდება კრიტიკულ შენიშვნებს განახლებული ქართული ეკლესიის მესვეურთა მისამართით:

“ჩვენი პატრიარქები თავიანთ გამოსვლებში რუს ეგზარქოსებს ბაძვდნენ, ნაცვლად იმისა, რომ ნიმუში ძველ ქართულ ეკლესიაში ეძებნათ. ამას დაემატა ისიც, რომ საქართველოს ეკლესიამ ემიგრანტებთან მოლაპარაკება გამართა და ნაციონალური და პოლიტიკური საკითხები დააყენა წინა რიგში, იმის მაგივრად, რომ თავის მუშაობაში მხოლოდ ეკლესიის და სახარების სფეროთი შემოფარგულიყო” .

ამ კრიტიკული შენიშვნების ანალიზი სცილდება ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს, რის გამოც ჩვენ თავს შევიკავებთ, მაგრამ ერთს კი ვიტყვით: არა გვგონია ავტორი ცდებოდეს, როცა აღნიშნავს, რომ

“ისტორიაში არის ხოლმე ძალიან მძიმე გამოცდის ჟამი, როცა ეკლესია მხოლოდ საკუთარი რწმენის საკითხებით უნდა შემოიფარგლოს. ასეთ დროს ის უნდა იყოს მხოლოდ შუამავალი თავის ხალხსა და ქრისტეს შორის, რომელიც ჯვარს ეცვა, აღესრულა და მესამე დღეს აღდგა როგორც მხსნელი და მაცხოვარი მთელი კაცობრიობისა. პატრიოტებს კარგად უნდა ესმოდეთ ეს საკითხები და არ უნდა მოითხოვდნენ ეკლესიისაგან იმას, რამაც შესაძლოა ეკლესიის რღვევას შეუწყოს ხელი”.

ნაშრომის ამავე ნაწილში ავტორს მოჰყავს სხვადასხვა წყაროდან ამოკრებილი ცნობები, თუ რა დღეში ჩავარდა ქართული ეკლესია ბოლშევიკების ხელში, როგორ დაუნგრევიათ ძველი შესანიშნავი ეკლესია ამბროლაურში, აშენებული მეფე გიორგის მიერ მე-16 საუკუნეში; ასევე დაუნგრევიათ ეკლესია სოფელ ხოტევეში, ცნობილი თავისი ძველი ფრესკებით; სორის ეკლესიიდან გაუტანიათ ძველი ეტრატის ხელნაწერები და შესახვევ ქალაქად გამოუყენებიათ ისინი სოფლის “კოოპერატივში”. 1921 წლისათვის საქართველოში ყოფილა 1531 მღვდელი, 1935 წელს კი მხოლოდ 391.

“ბოლშევიკებმა ძალიან ბევრი ქართველი მღვდელი დახვრიტეს, მათ შორის ერთი მხცოვანი მიტროპოლიტი, ნაზარი, ჩემი ყოფილი მასწავლებელი სასულიერო სემინარიაში, აწამეს და დახვრიტეს, მაგრამ – რაგინდ მძიმეც იყოს ჩემთვის ამის თქმა – მათი სისხლი ეკლესიისათვის ნაყოფიერი თესლი არ იქნება (მოხარული ვიქნები, თუ მე ვცდები და ვინმე საწინააღმდეგოს დამიმტკიცებს)”.

ამ შემთხვევაში კი გრიგოლ ფერაძე მართლაც შეცდა და მისი სიტყვები არ გამართლდა: ნაზარი მიტროპოლიტის და სხვა წამებულთა სისხლი უნაყოფოდ არ დაღვრილა. ისინი ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა. მათთან ერთად ქართველ წმინდანთა გუნდს შეუერთდა თვითონ გრ. ფერაძეც.